ხელშეკრულება № 180 - 31

2012 წლის 13 დეკემბერი ქ.თბილისი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი** (მის: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5) წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით აფრასიძის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი") და მეორეს მხრივ **ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი** (მის: წალენჯიხა გამსახურდიას ქ.№6) წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ლირა ღურწკაიას სახით (შემდგომში წოდებული "შემსყიდველი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი გადასცემს შემსყიდველს საკუთრებაში ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებულ საქონელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი იღებს აღნიშნულ საქონელს და ვალდებულია დროულად, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადაიხადოს მისი საფასური.

1.2 მიწოდების საგანია: **ხელშეკრულების დანართში მითითებული წიგნები.**

2. ხელშეკრულების საგნის მიწოდების ვადები

2.1. 1.2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის გადაცემა ხდება არაუგვიანეს 2012 წლის 20 დეკემბრისა.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2012 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

4. საქონლის მიწოდების წესი და ადგილი

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით მიმწოდებლის მიერ გადაცემული საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს "შემსყიდველი" მხარე საკუთარი ხარჯით;

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებლის ვალდებულებები:

5.1.1. მიმწოდებლის ვალდებულება საქონლის გადაცემაზე ითვლება შესრულებულად შემსყიდველისათვის საქონლის გადაცემის მომენტიდან. საქონლის გადაცემასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენტი;

5.1.2 თუკი ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისიწნებულ საქონელს აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი ან შეცვალოს ნივთი თავისი ხარჯით.

5.2. შემსყიდველის ვალდებულებები:

5.2.1. შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი საფასური ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

5.2.2. მიმწოდებლისაგან საქონლის მიღებისას შემსყიდველი ვალდებულია შეამოწმოს მისი დასახელების, რაოდენობის და ხარისხის შესაბამისობა ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით შეთანხმებულ საქონელთან.

6. ფასი და ანგარიშსწორების წესი

6.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა **544 (ხუთასორმოცდაოთხი)** ლარი

6.2. საქონლის საფასურის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება, ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით, მიწოდებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

6.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული წიგნების საფასურის გადახდისათვის დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,01% გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.5. შემსრულებლის მხრიდან 2.1 მუხლის დარღვევის შემთხვევაში შემკვეთი იხდის 6.1 პუნტით გათვალისწინებული თანხის 0,01%-ით ნაკლებს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც პასუხისმგებელი პირები – მიმწოდებელი და შემსყიდველი – მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას.

7.2. ხელმოწერის უფლებამოსილება მიღება-ჩაბარების აქტზე მიმწოდებლის მხრიდან მიენიჭოს გამომცემლობის უფროსის მოადგილეს ირმა რევიშვილს.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხი განისაღზვრება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისიწნებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

10.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისიწნებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შემლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

12. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი-მიმწოდებელს ერთი -შემსყიდველს,).

მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი:

ა(ა)იპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი 0179, ჩოლოყაშვილის №3/5
საიდენტიფიკაციო კოდი: 204861970
სს ბაზის ბანკი
ბანკის კოდი: CBASGE22
ა/ა: GE76BS0000000000134789

დავით აფრასიძე
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

შემსყიდველი:

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი

წალენჯიხა.გამსახურდიას ქ.№ 6
საიდ.კოდი: 242741477
ს/ს „ლიბერთი ბანკის" წალენჯიხის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა: GE82LB0115120319207000

ლირა ღურწკაია
დირექტორის მოადგილე